




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 57



2016 წლის 23 ივნისი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №144 განკარგულებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის
პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2016 წლის 14 ივნისის №2400/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის - ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების პროგრამას, ფოლკლორული გუნდებისათვის ფორმების შექმნის მიზნით დაემატა 1530 ლარი, რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №144 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №144 განკარგულებით დამტკიცებულ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 1530 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 201 500 ლარისა განისაზღვროს 203 030 ლარით, დანართი №1-ში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №1-ის სახით (დანართი №1 თან ერთვის 1 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშურში – ორ კულტურის ცენტრს (რუსთაველის ქ.№6 და თამარ მეფის ქ.№14), დაბა სურამში და სოფელ ქვიშხეთში კულტურის ცენტრებს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.

ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.

თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 203 030 ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	203 030
მათ შორის შრომის ანაზღაურება	161 940

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.

ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობები

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.